სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

05/12/2025

MES 6 25 0001737835

ბრძანება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საავტორიზაციო და საakრედიტაციო ვიზიტის დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 70-ე მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 16 სექტემბრის N1150450 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საავტორიზაციო და საakრედიტაციო ვიზიტის დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წესი და პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წესი და პირობები (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) მიერ საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტების დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წესსა და პირობებს.
2. ვიზიტის დისტანციურად განხორციელება გულისხმობს შეფასების ისეთ ფორმას, რომლის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი ყველა ეტაპს, მათ შორის, ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, ინფრასტრუქტურის დათვალიერებასა და სხვა აქტივობებს, ახორციელებს სრულად დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტის გარეშე.
3. ვიზიტის ნახევრად დისტანციურად განხორციელება გულისხმობს შეფასების ისეთ ფორმას, რომლის დროსაც პროცესის ნაწილი ხორციელდება დისტანციურად, ხოლო ნაწილი - ადგილზე ვიზიტით. აღნიშნული შეფასების ფორმა შეიძლება ითვალისწინებდეს:
ა) ექსპერტთა ჯგუფის რომელიმე წევრი შეფასების პროცესში ერთვება დისტანციურად, ხოლო დანარჩენი წევრები პროცესში მონაწილეობენ ადგილზე ვიზიტით;
ბ) ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი დისტანციურად ახორციელებს ინტერვიუების ეტაპს დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და ლაბორატორიების შეფასება ხორციელდება ადგილზე ვიზიტით;
გ) ექსპერტთა ჯგუფი სრული შემადგენლობით მონაწილეობს ფიზიკურ ვიზიტში, თუმცა დაინტერესებული მხარეების ნაწილი (მაგალითად: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა) ინტერვიუების პროცესში ერთვებიან დისტანციურად.

მუხლი 2. საავტორიზაციო/სააკრედიტაციო ვიზიტის დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელების წინაპირობები

1. სათანადო პირობების არსებობისას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელება შესაძლებელია დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ნახევრად დისტანციური ფორმით.
2. ადგილზე ვიზიტი წარმოადგენს სტანდარტულ და უპირატეს ფორმას. დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმატი განიხილება, როგორც ალტერნატიული საშუალება, რომელიც

გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების დროს და ამავდროულად, ცენტრი დარწმუნებულია, რომ სათანადოდ უზრუნველყოფილია შეფასების პროცესის თანმიმდევრულობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და აღნიშნული მიდგომის გამოყენება უარყოფითად არ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულების, ან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ხარისხზე.

3. დისტანციური ფორმით შეფასების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ შორის, გლობალური პანდემიის პირობებში, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას, ფორს-მაჟორისა და დაუძლეველი ძალის არსებობისას, ასევე გეოგრაფიული ან ლოგისტიკური სირთულეების შემთხვევაში ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას.

4. შეფასების პროცესში ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეობა დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო/ ადგილობრივ ექსპერტს აქვს ტრანსპორტირებასთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოებები, რაც შეუძლებელს ხდის მის სრულად მონაწილეობას ადგილზე ვიზიტში.

5. ექსპერტი ვალდებულია, ამ მდგომარეობის დადგომისთანავე შეატყობინოს ცენტრს.

6. ცენტრი გამონაკლისის სახით თანხმობას აცხადებს ექსპერტის დისტანციურად/ნახევრად დისტანციურად შეფასების პროცესში ჩართვაზე იმ შემთხვევაში თუ:

ა) ექსპერტის ჩანაცვლებისთვის გონივრული ვადა უკვე გასულია;

ბ) შეფასების პროცესის თავისებურებებიდან და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის/კომპეტენციის ექსპერტის მოძიება შეუძლებელია;

გ) ადმინისტრაციული პროცესის წარმოების ვადების და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადების გათვალისწინებით, ექსპერტის მოძიება, რომელიც შეძლებს ადგილზე ვიზიტის განხორციელებას, შეუძლებელია.

7. დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით ექსპერტების მიერ შეფასების განხორციელება ასევე შესაძლებელია დაწესებულების ლოკაციის გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მაგალითად, საერთაშორისო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას, რომელიც ხორციელდება უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, უცხოური უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეებთან ინტერვიუების პროცესი ტარდება დისტანციურად, ასევე, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის/რესურსების დათვალიერება მიმდინარეობს ელექტრონული პლატფორმებისა და/ან წინასწარ მომზადებული ვიდეომასალის ან ციფრული კამპუს-ტურის მეშვეობით.

8. დაწესებულება ვალდებულია, ცენტრთან დღის წესრიგის შეთანხმების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამისი პირის ჩართვა დისტანციურად და დაასაბუთოს ამ ფორმით მონაწილეობის აუცილებლობა, შედეგად, დღის წესრიგში მიუთითოს დისტანციურად მონაწილე პირების ვინაობა, ან საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის/რესურსების ვიდეომასალის, ან ციფრული კამპუს-ტურებით ჩატარების საჭიროება.

9. დისტანციური ან ნახევრად დისტანციური შეფასების ფორმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრი, დაწესებულებასთან და ექსპერტთა ჯგუფთან შეთანხმებით.

მუხლი 3. დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელებული შეფასების პროცესი

1. დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით შეფასება მოიცავს:
ა) ვიდეო კონფერენციებს შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების (მაგალითად, Zoom, MS Teams, Google Meet და სხვა) მეშვეობით;
ბ) დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების შეფასებას ვიდეომასალის ან ციფრული კამპუს-ტურის გამოყენებით.
2. დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით ვიზიტი ტარდება დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. პლატფორმის ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულება.
3. დისტანციურად ან ნახევრად დისტანციური ფორმით განხორციელებული შეფასების პროცესის ყველა ასპექტი - შეხვედრების განრიგი (დღის წესრიგი) და ტექნიკური საჭიროებები, დეტალურად იგეგმება წინასწარ, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეხვედრების შეუფერხებელი მიმდინარეობა.
4. შეფასების პროცესში მონაწილე ყველა მხარე (ექსპერტთა ჯგუფის წევრები, ცენტრის წარმომადგენლები, დამკვირვებლები, დაწესებულების წარმომადგენლები, თარჯიმანი და სხვ.) ვალდებულები არიან გამოიყენონ სანდო ტექნიკური საშუალებები (ვიდეო კონფერენციის პლატფორმები, უწყვეტი ინტერნეტი, აუდიო/ვიდეო და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა) და წინასწარ მოახდინონ მათი ტესტირება.
5. დისტანციურ რეჟიმში შეხვედრები იგეგმება ისე, რომ არ იყოს გადატვირთული (რეკომენდებულია მოკლე შეხვედრები და რეგულარული შესვენებები); დაზუსტებული უნდა იყოს შეხვედრაში მონაწილე პირების მონაცემები (სასურველია არაუმეტეს 8 პირისა) და პოზიცია/სტატუსი, ასევე, მონაწილეობის ფორმატი (დისტანციურად, ადგილზე ვიზიტით).
6. ცენტრი უფლებამოსილია მოითხოვოს დაწესებულებისგან საკონტაქტო პირი (resource person), რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოახდენს საგანმანათლებლო დოკუმენტაციაზე წვდომას, ორგანიზაციული მხარის კოორდინაციას და ელექტრონული კომუნიკაციის შეუფერხებელი მიმდინარეობის მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ ატარებს შეხვედრას საკონტაქტო პირთან ინფორმაციის და მოთხოვნების დაზუსტების მიზნით. ცენტრის მხრიდან დაწესებულებასთან საკონტაქტო პირს წარმოადგენს ცენტრის თანამშრომლ(ებ)ი, რომელიც მივლენილია შეფასების პროცესზე.
7. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ შიდა შეხვედრების საშუალება დახურული შეხვედრების ოთახში, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს დაცული შეხვედრის უნიკალური ID-ით და პაროლით.
8. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა ყველა საჭირო დოკუმენტზე ონლაინ ფორმატში (დაცული ღრუბლოვანი სივრცის ან სხვა შესაბამისი პლატფორმის მეშვეობით).
9. შეხვედრის ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის სტანდარტები. დაუშვებელია შეხვედრაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების მიერ ინტერვიუების პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის ან ფოტომასალის გაკეთება, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებასთან (მათ შორის, ინციდენტების შესახებ

ინფორმაციის) დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრს.
10. ინტერვიუებში მონაწილე პირები გაფრთხილებულები უნდა იყვნენ შეხვედრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ, ინტერვიუების და შეხვედრების დაწყებამდე ხდება მონაწილეთა იდენტიფიკაცია. აუცილებელია მონაწილეები თავიანთი სახელითა და გვარით, ასევე შესაბამისი პოზიციის მითითებით ჩაერთონ პროცესში.
11. ვიდეოს ჩართვა შეხვედრის დასაწყისში აუცილებელია, ასევე აუცილებელია იმ დროს, როცა მონაწილე საუბრობს (გარდა თარჯიმნისა). გამონაკლისი შემთხვევები წინასწარ თანხმდება ექსპერტთა ჯგუფთან და ცენტრთან.
12. ინტერვიუებში მონაწილე პირები გაფრთხილებულები უნდა იყვნენ, რომ დისტანციურად ჩართვა უნდა განახორციელონ საქმიანი გარემოდან - სამუშაო სივრციდან, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვას.
13. ტექნიკური ხარვეზების ან სხვა მოულოდნელი პრობლემების შემთხვევაში, ვიზიტის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა უნდა იმოქმედონ შესაბამისად და უზრუნველყონ პროცესის გაგრძელების ალტერნატიული გზების მოძიება.
14. ექსპერტთა ჯგუფს უფლება აქვს მოითხოვოს დაწესებულებისგან დამატებითი მასალების/ინფორმაციის მიღება დისტანციური ფორმატით, მაგალითად: გადახედოს ელექტრონულ არქივებს, სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემას (Learning Management System), საბიბლიოთეკო რესურსებს, მიზნობრივად მოითხოვოს შესაბამისი ვიდეორგოლების ან ფოტომასალის გამოგზავნა დაწესებულებისგან.
15. ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში მიეთითება, რომ ვიზიტი ჩატარდა დისტანციური/ნახევრად დისტანციური ფორმით და აღნიშნული ფორმა შეთანხმებული იყო ყველა მონაწილე მხარესთან.

მუხლი 4. საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები

1. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მეთოდოლოგიური და ტექნიკური თვალსაზრისით მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესებისა და პირობები გათვალისწინებით;
ბ) წარადგინოს სრული ინფორმაცია/დოკუმენტები და წვდომა ონლაინ რესურსებზე (LMS გარემო, ელექტრონული მასალები, ციფრული რესურსები და პროგრამული გარემო, ვიდეო რგოლები);
გ) უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია შეფასების პერიოდში;
დ) პროცესის უწყვეტობის და მაღალი ხარისხით წარმართვის უზრუნველსაყოფად, წინასწარ გამოავლინოს შესაძლო ტექნიკური ან სხვა ბარიერები და უზრუნველყოს მათი მინიმიზაცია;
ე) საჭიროებისამებრ განახორციელოს დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად განხორციელებული შეფასების პროცესის ხარისხის მონიტორინგი და/ან უკუკავშირის შეგროვება პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
ვ) უზრუნველყოს შეფასების პროცესში არსებული ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა, ასევე პროცესის თანმიმდევრულად და ეფექტურად განხორციელება.

2. ტექნიკური მოთხოვნები დისტანციური/ნახევრად დისტანციური ვიზიტისთვის:
ა) შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის გამოყენება; არჩეული პლატფორმისა და სერვერის სტაბილურობის წინასწარი შემოწმება;
ბ) სტაბილური ინტერნეტ კავშირი;
გ) სათანადოდ აღჭურვილი ექსპერტთა განთავსების/სამუშაო ოთახი;
დ) პროცესში საკონტაქტო პირის უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნიკური კომპეტენციებით.

მუხლი 5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვალდებულებები

ცენტრი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მეთოდოლოგიური და ტექნიკური თვალსაზრისით მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესებისა და პირობები გათვალისწინებით;
ბ) შეფასების პროცესის დაგეგმვისას საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფთან ერთად წინასწარ შეათანხმოს შეფასების ფორმა (დისტანციური, ნახევრად დისტანციური ან ადგილზე ვიზიტი);
გ) დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით შეფასების შემთხვევაში, უზრუნველყოს პროცესში ჩართული მხარეების დროული ინფორმირება და მკაფიო ინსტრუქციების მიწოდება;
დ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის ჩართვა და მისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ტექნიკური რესურსების მიწოდება, რაც მოიცავს:

- დ.ა) თარჯიმნისთვის საჭირო ინფორმაციისა და შეფასების განრიგის წინასწარ მიწოდებას, ასევე, მონაწილე მხარეებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის შესახებ (მათ შორის, საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და პროცესების შინაარსობრივი კონტექსტი) ინფორმაციის მიწოდებას (დისტანციური თარგმნისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს პლატფორმის შესაბამისი ფუნქციები (მაგალითად: Simultaneous interpretation mode));
- დ.ბ) ინტერვიუსა და შეხვედრების დროს მაღალი ხარისხის ტექნიკური უზრუნველყოფა (სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, კარგი აუდიო სისტემა, სტაბილური ინტერნეტი) თარჯიმნის მხრიდან. ასევე, თარჯიმანია ვალდებული დაიცვას კონფიდენციალურობა და არ მოახდინოს პროცესის ჩანაწერის წარმოება ან მესამე მხარესთან მიღებული ინფორმაციის გაზიარება;

ე) უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის შეფასების პროცესის ტექნიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა;
ვ) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესაბამისი სტანდარტების დაცვა;
ზ) საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეს კომუნიკაცია დაწესებულებასთან მასალების/ინფორმაციის მიღების, ტექნიკური მოთხოვნების შეთანხმების, პროცესში მიმდინარე ხარვეზების და სხვა ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

თ) საჭიროებისამებრ განახორციელოს დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად განხორციელებული შეფასების პროცესის ხარისხის მონიტორინგი და/ან უკუკავშირის შეგროვება პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.